გუმბათი

საქმიანობის შესახებ

“გუმბათი“ ფორმალური და არაფორმალური განათლების კერაა სოფელი გუმბათისა და ზემო წალკის სხვა სოფლების მოსახლეობისთვის, რომელიც 2016 წელს შეიქმნა. მისი შექმნის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია იყო, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ხარისხიანი განათლება და გვერდიგვრდ მცხოვრებ მოსახლეობას ერთმანეთის გაცნობისა და დამეგობრების შესაძლებლობა ჰქონოდათ.

“გუმბათის” **სოციალური მისიაა** წალკის მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი მოსახლეობის დაახლოვებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა და ამ გზით დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა.

სერვისი

“გუმბათი” ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო მომსახურებას სთავაზობს. კერძოდ:

- **ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტების მომზადება**
- **დაწყებითი კლასის მოსაწავლეებისთვის გახანგრძლივებული სწავლება**
- **ინგლისურის ენის კურსები**
- **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები**

სოციალური შედეგები

- საწარმოში დასაქმებულია 6 ადგილობრივი ქალი
- 550-მდე განხოციელებული აქტივობა / ღონისძიება, რომლებშიც ჩართული იყვნენ როგორც ქართულენოვანი, ასვე არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები
- “გუმბათის” ხელშეწყობით 15-მა მასწავლებელმა წარმატებით ჩააბარა მასწავლებეთა სასერტიფიკატო გამოცდა, ხოლო 65-მა აბიტურიენტმა - ერთიანი ეროვნული გამოცდები
- 10-მა მასწავლებელმა გაიარა საოფისე პროგრამების კურსი
- წალკის მუნიციპალიტეტის 15-მა ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო ერასმუსის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში

+995 598 56 72 61;
+995 551 09 57 42

gumbati2016@gmail.com
irad5753@gmail.com

https://www.facebook.com/gumbatiorganisation

სოფელი გუმბათი, წალკა, საქართველო